უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 06

2019 წ. „11“ 03

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს (ს/კ: 211325653) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 4 000-ით.
2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 11 მარტის №03 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შესახებ, ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის №1 ანქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ნინო ხოლუაშვილი

დანართი

	პროგრამების ჩამონათვალი რომლის განხორციელების უფლებაც აქვს დაწესებულებას					
	ფაკულტეტის დასახელება: აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სკოლა					
№	**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**	**სწავლების ენა**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით**	**კრედიტების რაოდენობა**	**ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციი სშესახებ**	**მიუთითეთ შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი**
1	აგრონომია	ქართული	0101 აგრონომიის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	#266, 11/11/2011
2	სატყეო საქმე	ქართული	0105 სატყეო საქმის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	#274, 11/11/2011
3	სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	0104 სასურსათო ტექნოლოგიების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	#271, 11/11/2011
4	მევენახეობა მეღვინეობა	ქართული	01 აგრარული მეცნიერებების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	#427, 09/12/2011
5	ბიოლოგია	ქართული	0504 ბიოლოგიის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	#773, 11/12/2012
6	ქიმია	ქართული	0503 ქიმიის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	#774, 11/12/2012
7	ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა	ქართული	010201 ვეტერინარიის მაგისტრი	305	აკრედიტებული	N109 29/08/2018
	ფაკულტეტის დასახელება: საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტი					
1	ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერია	ქართული	04 ინჟინერიის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	#269, 11/11/2011
2	მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია	ქართული	0408 მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	#273, 11/11/2011

3	მშენებლობა	ქართული	0406ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში	240	აკრედიტებული	#462, 09/12/2011
	ფაკულტეტის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი					
1	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	02 ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	N113, 31/08/2018
2	თავისუფალი მეცნიერებები	ქართული	1108 თავისუფალი მეცნიერებების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	#200, 10/12/2013
	ფაკულტეტის დასახელება: სამაგისტრო და სადოქტორო სკოლა					
1	აგრარული მეცნიერებები	ქართული	0101 აგრონომიის მაგისტრი; 0104 სასურსათო ტექნოლოგიების მაგისტრი; 0105 სატეო საქმის მაგისტრი	120	აკრედიტებული	#140, 03/07/2012
2	საინჟინრო ტექნოლოგიები	ქართული	04 ინჟინერიის მაგისტრი	120	აკრედიტებული	#141, 03/07/2012
3	აგრარული მეცნიერებები	ქართული	01 აგარარული მეცნიერებების დოქტორი	180	აკრედიტებული	#59, 05/05/2018
4	ინჟინერია	ქართული	04 ინჟინერიის დოქტორი	180	აკრედიტებული	#132, 08/10/2013
5	ვეტერინარიის მომზადების პროგრამა	ქართული	0102 ვეტერინარის სერტიფიკატი	60	აკრედიტებული	N110; 29/08/2018
	ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ჩამონათვალი					
1	ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში	ქართული	0502 ფიზიკის მაგისტრი; 0504 ბიოლოგიის მაგისტრი; 0503 ქიმიის მაგისტრი	120	აკრედიტებული	#17, 03/02/2015
2	ერთობლივი სადოქტორო პროგრამა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში	ქართული	0502 ფიზიკის დოქტორი; 0504 ბიოლოგიის დოქტორი; 0503 ქიმიის დოქტორი	180	აკრედიტებული	#18, 03/02/2015